შპს სკოლა ევრო 2000

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და

მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა)

აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით და

ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შპს სკოლა ევრო 2000

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ---------- 3

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ---------- 8

სრული შემოსავლის ანგარიშგება ----------9

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ----------10

ფულადი ნაკადების ანგარიშგება ----------11

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანიის აღწერა 12
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა 12
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 20
4. ძირითადი საშუალებები 21
5. საინვესტიციო ქონება 22
6. არამატერიალური აქტივები 23
7. მარაგები 23
8. ავანსები და წინასწარ გაწეული ხარჯები 23
9. საგადასახადო აქტივი 23
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 24
11. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 24
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 24
13. მიღებული სესხები 25
14. ამონაგები 25
15. სხვა საოპერაციო ხარჯები 26
16. არასაოპერაციო შემოსავალი 26
17. პირობითი ვალდებულებები 27
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 27
19. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები 27
20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება 27

საქმიანობის მიმოხილვა 28

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს სკოლა ევრო 2000-ის მესაკუთრეებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს სკოლა ევრო 2000-ის (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ ძირითადი საშუალებების (გარდა უძრავი ქონებისა) ინვენტარიზაციას 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღისათვის არ ვიყავით დანიშნულები შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად. შესაბამისი თარიღის მდგომარეობით ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურით მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთების არსებობასთან და სისწორესთან დაკავშირებით. ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები, გარდა უძრავი ქონებისა, 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით წარმოდგენილია 515,671 ლარით (2020 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით - 472,970 ლარით.)

შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებები წარდგენილ ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, ასევე ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან და ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ

Audit | Accounting | Tax | Valuation | Business Advisory Services | Legal Services
Kavtaradze str, lane I | N 10. Floor 3 | Office 4 | Tbilisi 0186 | Georgia
info@kreston.ge www.kreston.ge +995 322 48 37 39

knowing you.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

შპს სკოლა ევრო 2000-ის 2020 წლის 31 აგვისტოთი დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარებულია წინამორბედი აუდიტორის მიერ, რაზეც გამოთქმულია პირობითი მოსაზრება მარაგების და ძირითადი საშუალებების, გარდა უძრავი ქონებისა, მუხლებთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე

Audit | Accounting | Tax | Valuation | Business Advisory Services | Legal Services
Kavtaradze str, lane I | N 10. Floor 3 | Office 4 | Tbilisi 0186 | Georgia
info@kreston.ge www.kreston.ge +995 322 48 37 39

knowing you.

რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიისა და ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის და ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია ან ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით, რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამჟღავნებელ ინფორმაციას.

Audit | Accounting | Tax | Valuation | Business Advisory Services | Legal Services
Kavtaradze str, lane I | N 10. Floor 3 | Office 4 | Tbilisi 0186 | Georgia
info@kreston.ge www.kreston.ge +995 322 48 37 39

knowing you.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

კანონის შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვდენილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს დაკვირვებას, გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გარდა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებების შესაბამისი ნაწილები (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავენ ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას.

- კომპანიის მმართველობის ანგარიშგების შესაბამის ნაწილში (საქმიანობის მიმოხილვა) ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისათვის რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, თანხვდენილია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიის დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

Audit | Accounting | Tax | Valuation | Business Advisory Services | Legal Services
Kavtaradze str, lane I | N 10. Floor 3 | Office 4 | Tbilisi 0186 | Georgia
info@kreston.ge www.kreston.ge +995 322 48 37 39

knowing you.

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართ. 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო

30 მაისი, 2022 წელი

Audit | Accounting | Tax | Valuation | Business Advisory Services | Legal Services
Kavtaradze str, lane I | N 10. Floor 3 | Office 4 | Tbilisi 0186 | Georgia
info@kreston.ge www.kreston.ge +995 322 48 37 39

knowing you.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.08.2021	31.08.2020
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	14,440,420	14,442,537
საინვესტიციო ქონება	5	505,783	509,991
არამატერიალური აქტივები	6	190	1,300
სულ გრძელვადიანი აქტივები		**14,946,393**	**14,953,828**
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	174	18,488
ავანსები და წინასწარ გაწეული ხარჯები	8	8,789	14,312
საგადასახადო აქტივი	9	104,527	35,659
დებიტორული დავალიანება	10	230,023	385,882
ფული და ფულის ექვივალენტები	11	467,327	634,897
სულ მიმდინარე აქტივები		**810,840**	**1,089,238**
სულ აქტივები		**15,757,233**	**16,043,066**
კაპიტალი და ვალდებულებები			
გადაფასების რეზერვი		11,953,769	11,966,669
აკუმულირებული მოგება		2,633,947	2,642,309
სულ კაპიტალი		**14,587,716**	**14,608,978**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	226,251	160,343
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	13	373,611	345,815
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**599,862**	**506,158**
გრძელვადიანი სესხები	13	569,655	927,930
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**569,655**	**927,930**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**15,757,233**	**16,043,066**

დირექტორები:

მარინა ცივაძე _____

ანზორ აბუსერიძე _____

მთავარი ბუღალტერი:

ია მექვაბიშვილი _____

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	01.09.2020-31.08.2021	01.09.2019-31.08.2020
ამონაგები	14	2,909,895	2,856,666
პერსონალის ხარჯები		(1,419,129)	(1,423,266)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	4	(87,674)	(69,953)
სხვა საერთო ხარჯები	15	(337,212)	(617,507)
საოპერაციო მოგება		**1,065,880**	**745,940**
საპროცენტო ხარჯი		(58,629)	(73,315)
საპროცენტო შემოსავალი		19,635	13,736
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		(51,074)	(138,252)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	16	9,050	97
მოგება დაბეგვრამდე		**984,862**	**548,206**
მოგების გადასახადი		(124,802)	-
წმინდა მოგება		**860,060**	**548,206**
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		(12,900)	(12,900)
სულ სრული შემოსავალი		**847,160**	**535,306**

დირექტორები:

მარინა ცივაძე _____

ანზორ აბუსერიძე _____

მთავარი ბუღალტერი:

ია მექვაბიშვილი _____

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	დაგროვილი მოგება	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 აგვისტო 2019	**2,338,314**	**11,979,569**	**14,317,883**
წლის სრული შემოსავალი	548,206	(12,900)*	535,306
დივიდენდის გაცემა	(244,211)		(244,211)
ნაშთი 31 აგვისტო 2020	**2,642,309**	**11,966,669**	**14,608,978**
წლის სრული შემოსავალი	860,060	(12,900)*	847,160
დივიდენდის გაცემა	(868,422)		(868,422)
ნაშთი 31 აგვისტო 2021	**2,633,947**	**11,953,769**	**14,587,716**

- *სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, კომპანია შეფასებული შენობის ცვეთის გადაფასების რეზერვის პროპორციულ წილს ყოველწლიურად აკლებს გადაფასების რეზერვს.*

დირექტორები:

მარინა ცივაძე _____

ანზორ აბუსერიძე _____

მთავარი ბუღალტერი:

ია მექვაბიშვილი _____

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	01.09.2020-31.08.2021	01.09.2019-31.08.2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მოგება დაბეგვრამდე	860,060	548,206
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	87,674	69,953
მოთხოვნების გაუფასურება	80,838	93,888
ფინანსური შემოსავლები	(28,154)	(13,736)
ფინანსური ხარჯები	58,629	73,315
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	51,074	138,252
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**1,110,120**	**909,878**
საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		
მარაგების (ზრდა)/შემცირება	18,314	77,116
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	80,435	(138,743)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	74,418	(33,075)
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(68,868)	307,523
მიღებული პროცენტი	19,635	13,736
გადახდილი პროცენტები	(59,123)	(70,926)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**1,174,932**	**1,065,509**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(93,139)	(484,751)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(93,139)**	**(484,751)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(868,422)	(244,211)
სესხის აღება	-	1,325,988
სესხის გადახდა	(370,791)	(1,497,345)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**(1,239,213)**	**(415,568)**
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	**(157,420)**	**165,190**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	634,897	510,712
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(10,150)	(41,005)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	**467,327**	**634,897**

დირექტორები:

მარინა ცივაძე _____

ანზორ აბუსერიძე _____

მთავარი ბუღალტერი:

ია მექვაბიშვილი _____

1. კომპანიის აღწერა

შპს სკოლა ევრო 2000 დაფუძნდა 2001 წელს. მისი სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და საიდენტიფიკაციო ნომერია: 245437843 .

კომპანიის როგორც იურიდიული, ასევე ფაქტიური მისამართია: საქართველო, ქალაქი ბათუმი, გორგილაძის ქ. 89.

შპს სკოლა ევრო 2000 -ის მფლობელები არიან:

მარინა ცივაძე, პ.ნ.: 61002015321, მონაწილეობა 50%;

ანზორ აბუსერიძე, პ.ნ.: 61002002371, მონაწილეობა 50%.

კომპანიის დირექტორები და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან:

მარინა ცივაძე, პ.ნ.: 61002015321;

ანზორ აბუსერიძე, პ.ნ.: 61002002371.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ზოგადი საბაზო და საშუალო განათლების მომსახურება; საკუთარი არასაცხოვრებელი შენობის გაქირავება.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 სექტემბრიდან 31 აგვისტოს ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება

ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობთ მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31.08.2021	31.08.2020
1 USD/GEL	3.1170	3.0696
1 EUR/GEL	3.6768	3.6243

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხომბს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გარკვეულ გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

მიწისა და შენობების ჯგუფები აღრიცხულია გადაფასების მოდელით. გადაფასება გაკეთებულია 2018 წელს. შეფასების შემდეგ შენობებს ერიცხებათ ცვეთა იმ წესით, როგორც ქვემოთაა მოცემილი.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, გადაფასების ნამეტი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში და კაპიტალში გროვდება გადაფასების რეზერვის მუხლში. მოგებაში ან ზარალში აისახება გადაფასებიდან მიღებული ის ნამეტი თანხა, რომლითაც კომპენსირდება იმავე აქტივთან დაკავშირებით, ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარებული გადაფასებით განპირობებული შემცირების თანხა.
თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება, შემცირების თანხა მოგებაში ან ზარალში, სხვა სრულ შემოსავალში გადაფასებიდან მიღებული შემცირების თანხა იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. გადაფასებით განპირობებული შემცირების თანხის ასახვა სხვა სრულ შემოსავალში ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტი“ დაგროვილ თანხას.
ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან ან შეფასებული ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. მინიჭებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	წელი
შენობები	75
ოფისის აღჭურვილობა	10-15
ავეჯი და ინვენტარი	10-15
სპეციალური ინსტრუმენტები	10-15
სატრანსპორტო საშუალებები	20

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

საინვესტიციო ქონება

შეფასება თავდაპირველი აღიარებისას ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის ფასს, გარიგების დანახარჯებს, იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულებას, ქონების გადაცემასთან დაკავშირებულ გადასახადებს.
თუ რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, შემდგომი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. თუ რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება აღარ არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, საინვესტიციო ქონება აღირიცხება მე-17 განყოფილების შესაბამისად, როგორც ძირითადი საშუალება, სანამ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება არ გახდება შესაძლებელი. ბოლო თარიღის საბალანსო ღირებულება ხდება მისი თვითღირებულება.
წარმოდგენილ პერიოდში საინვესტიციო ქონება წარმოადგენს მთლიანი შენობის და მიწის ნაწილს, რომლებიც ძირითადი საშუალებების მუხლიდან რეკლასიფიცირებულია საბალანსო ღირებულებებით და შენობაზე დარიცხულია ცვეთა. იხ. ძირითადი საშუალებების აღრიცხვის პოლიტიკა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან ეკონომიკური სარგებელი მიიღება და შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება სკოლის საქმიანობის უფლებისა და საბუღალტრო პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომელთა სასარგებლო მომსახურეობის ვადებია შესაბამისად 6 და 10 წელი.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია

ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება „მიწოდების ხარჯებში“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. ფინანსური იჯარის დროს აქტივის და შესაბამისი ვალდებულების საბალანსო თანხა განსაზღვრულია მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშებისას დისკონტირების ფაქტორის გათვალისწინება ნიშნავს: საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას, თუ მისი დადგენა პრაქტიკულად

შესაძლებელია, ხოლო თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია - ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას.

ფინანსური იჯარა ფინანსურ ხარჯებთან ერთად წარმოშობს აქტივის ცვეთის ხარჯებს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივების მიმართ კომპანიის მიერ გატარებული ცვეთის პოლიტიკა შეესაბამება საკუთარი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა)ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	აშენებული შენობა თვითღირებულებით	შენობა შეფასებული ღირებულებით	კომპიუტერული ტექნიკა და მოწყობილობები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სპეციალური ინსტრუმენტები	სატრანსპორტო საშუალებები	ბიბლიოთეკა, ნარგავები და სხვა	სულ
საწყისი ღირებულება 31.08.2020	**10,822,067**	**1,977,891**	**1,294,647**	**147,190**	**464,298**	**33,175**	**17,869**	**31,007**	**14,788,143**
შემოსვლა	-	-	-	71,098	11,404	5,675	-	4,963	**93,140**
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	**-**
საწყისი ღირებულება 31.08.2021	**10,822,067**	**1,977,891**	**1,294,647**	**218,288**	**475,702**	**38,850**	**17,869**	**35,970**	**14,881,283**
დაგროვილი ცვეთა 31.08.2020	**-**	**17,581**	**107,457**	**49,944**	**129,209**	**24,081**	**17,333**	**-**	**345,606**
ცვეთა	-	31,918	12,900	14,233	29,389	2,835	430	3,552	95,257
დაგროვილი ცვეთა 31.08.2021	**-**	**49,499**	**120,357**	**64,177**	**158,598**	**26,916**	**17,763**	**3,552**	**440,863**
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.08.2020	**10,822,067**	**1,960,310**	**1,187,190**	**97,246**	**335,088**	**9,094**	**536**	**31,007**	**14,442,537**
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.08.2021	**10,822,067**	**1,928,392**	**1,174,290**	**154,111**	**317,103**	**11,934**	**106**	**32,418**	**14,440,420**

კომპანიის ბალანსზე არსებული მიწა და შენობა, ძირითადი საშუალებების მუხლიდან მთლიანად წმინდა საბალანსო ღირებულებით 13,924,749 ლარი, იპოთეკით არის დატვირთული სესხის უზრუნველსაყოფად უფლებრივი შეზღუდვების გარეშე.

5. საინვესტიციო ქონება

ძირითად საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად კომპანია ახორციელებს საიჯარო საქმიანობას, აიჯარებს საკუთარი შენობის გარკვეულ ნაწილს, რომელიც მოიცავს როგორც საკუთარი ძალებით აშენებულ ფართებს, რაც ძირითადი საშუალებების მუხლზე თვითღირებულებით არის აღრიცხული, ისე ძველ, შეძენილი შენობის ნაწილს, რაც ძირითადი საშუალებების მუხლში 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გადაფასებულია და მას შემდეგ ცვეთა ერიცხება. მიწის პროპორციული ნაწილიც გადმოტანილია ძირითადი საშუალებების მუხლიდან, სადაც ის ასევე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობითაა გადაფასებული.

შესაბამისად, მიმდინარე პერიოდში კომპანია საინვესტიციო ქონებას აღრიცხავს საბალანსო ღირებულებას მინუს ცვეთით და მიაჩნია, რომ ყოველწლიური რეალური ღირებულების დადგენა მისთვის მიზანშეუწონელ დანახარჯთან და ძალისხმევასთანაა დაკავშირებული, რადგან შესაბამისი თანამშრომელი არ ყავს, შემფასებლის ხარჯი კი ტვირთად დააწვება მის ძირითად საქმიანობას.

	შენობა	მიწა პროპორ-ციულად	სულ
ღირებულება 31.08.2020	**315,591**	**201,533**	**517,124**
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
ღირებულება 31.08.2021	**315,591**	**201,533**	**517,124**
დაგროვილი ცვეთა 31.08.2020	**7,133**	**-**	**7,133**
პერიოდის ცვეთა	4,208	-	4,208
სხვა ცვლილება	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.08.2021	**11,341**	**-**	**11,341**
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.08.2020	**308,458**	**201,533**	**509,991**
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.08.2021	**304,250**	**201,533**	**505,783**

კომპანიის ბალანსზე არსებული მიწა და შენობა, საინვესტიციო ქონების მუხლიდან მთლიანად წმინდა საბალანსო ღირებულებით 505,783 ლარი, იპოთეკით არის დატვირთული სესხის უზრუნველსაყოფად უფლებრივი შეზღუდვების გარეშე.

6. არამატერიალური აქტივები

	სკოლის ავტორი-ზაცია	სხვა არამატ. აქტივი	სულ
ისტორიული ღირებულება 31.08.2020	**5,500**	**250**	**5,750**
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
ისტორიული ღირებულება 31.08.2021	**5,500**	**250**	**5,750**
დაგროვილი ამორტიზაცია 31.08.2020	**4,400**	**50**	**4,450**
ამორტიზაცია	1,000	110	1,110
დაგროვილი ამორტიზაცია 31.08.2021	**5,400**	**160**	**5,560**
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.08.2020	**1,100**	**200**	**1,300**
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.08.2021	**100**	**90**	**190**

7. მარაგები

	31.08.2021	31.08.2020
ნედლეული და მასალები	174	18,488
სულ	**174**	**18,488**

8. ავანსები და წინასწარ გაწეული ხარჯები

	31.08.2021	31.08.2020
ავანსად გაცემული ხელფასები	7,362	9,103
წინასწარ გაწეული სხვა ხარჯები	1,427	5,209
სულ	**8,789**	**14,312**

9. საგადასახადო აქტივი

საგადასახადო აქტივი წარმოადგენს ყველა გადასახადის ჯამურ ნაშთს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის და კომპანიის მიერ აშენებული შენობის ექსპლუატაციის გამო წარმოქმნილი მომავალში ჩასათვლელ დამატებულ ღირებულების გადასახადს.

	31.08.2021	31.08.2020
ყველა გადასახადის წმინდა შედეგი	64,584	(6,973)
მშენებლობის დღგ	39,943	42,632
სულ	**104,527**	**35,659**

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.08.2021	31.08.2020
სწავლის საფასურის მოთხოვნა	332,736	428,365
(გაუფასურებული)	(137,406)	(63,973)
საიჯარო მომსახურების მოთხოვნა	72,013	51,405
(გაუფასურებული)	(37,320)	(29,915)
სულ	**230,023**	**385,882**

11. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	31.08.2021	31.08.2020
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	374,706	633,549
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	92,621	1,348
სულ	**467,327**	**634,897**

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.08.2021	31.08.2020
ავანსად მიღებული სწავლის საფასური	128,924	70,458
ვალდებულება მოწოდებაზე და მომსახურებაზე	13,992	9,936
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	78,803	75,607
საპენსიო ფონდში გადასახდელი	4,532	4,342
სულ	**226,251**	**160,343**

13. მიღებული სესხები

მიღებული სესხები შედგება საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკისგან მიღებული სესხებისაგან. სესხები აღებულია ევროში. ეფექტური საპროცენტო განაკვეთია წლიური 5.01%. 55,701.80 ევროს ნაშთის მქონე სესხის სრულად დაფარვის ვადაა 2023 წლის 16 აგვისტო, ხოლო 200,328.20 ევროს ნაშთის მქონე სესხის სრულად დაფარვის ვადაა 2025 წლის 16 ივლისი. ჯამურად, საანგარიშგებო თარიღიდან 1 წლის განმავლობაში დასაფარი ძირითადი თანხა ევროში შეადგენს 101,097.6 ევროს, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია მოკლევადიან ნაწილში პერიოდის ბოლომდე დარიცხულ პროცენტთან ერთად.

	31.08.2021	31.08.2020
გრძელვადიანი სესხი უცხოურ ვალუტაში (ევრო), 4,9%	941,371	1,271,356
გადასახდელი პროცენტები	1,895	2,389
სულ	**943,266**	**1,273,745**

	ხელშეკ-რულების დადების თარიღი	სახელ-შეკრულე ბო თანხა (ევრო)	წლიური ეფექტური % განაკვეთი	ძირი-თადი თანხა 31.08.21	დარიც-ხული % (ევრო)	31.08.21-დან 1 წლის განმ.-ში დასაფარი ძირი თანხა (ევრო)	სესხის სრულად დაფარვის ვადა
სესხი ნომერი 3.15236	06.12.2019	100,466	5.01	55,702	112	27,189	16.08.2023
სესხი ნომერი 3.15240	06.12.2019	294,713	5.01	200,328	403	73,909	16.07.2025
		395,179		**256,030**	**516**	**101,098**	

14. ამონაგები

	01.09.2020-31.08.2021	01.09.2019-31.08.2020
შემოსავალი სწავლის გადასახადიდან	2,352,708	2,275,978
სახელმწიფოსგან მიღებული ვაუჩერი	297,575	301,550
საიჯარო შემოსავალი	259,612	279,138
სულ	**2,909,895**	**2,856,666**

15. სხვა საოპერაციო ხარჯები

	01.09.2020-31.08.2021	01.09.2019-31.08.2020
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	80,838	93,888
რემონტის ხარჯი	76,178	9,389
ქონების გადასახადის ხარჯი	40,614	38,896
კომუნალური ხარჯები	28,818	30,404
სხვა საერთო ხარჯები	26,215	41,315
სამეურნეო ხარჯი	19,314	18,741
მანდატურის ხარჯი	14,400	11,700
აუდიტორის მომსახურების ხარჯი	12,980	21,505
დეზინფექციის ხარჯი	7,767	994
ელ. ჟურნალის მომსახურების ხარჯი	6,650	6,650
მოსწავლეთა კვების ხარჯი	4,662	15,333
კომპიუტერის ხარჯი	4,368	2,712
სხვადასხვა ინვენტარის ხარჯი	3,559	4,241
ავტო მანქანის ხარჯი	3,239	1,470
სარეკლამო ხარჯი	1,950	1,982
კომუნიკაციის ხარჯები	1,543	2,100
საკანცელარიო ხარჯი	1,475	6,081
ბანკის მომსახურების საკომისიო	1,049	953
წარმომადგენლობითი ხარჯი	597	53
დაცვის მომსახურების ხარჯი	480	480
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	265	1,763
მოსწავლეთა სტიპენდიის ხარჯი	250	5,275
საკუთარი წარმოების შენობის ექსპლუატაციაში გადაცემისას დღგ-ს ხარჯი	-	296,243
ლიფტის მომსახურების ხარჯი	-	1,350
ტრენინგის ხარჯი	-	3,990
	337,213	**617,507**

16. არასაოპერაციო შემოსავალი

	01.09.2020-31.08.2021	01.09.2019-31.08.2020
უსასყიდლოდ მიღებული წიგნები	3,772	-
ხანდაზმული ავანსები და ვალდებულებები	4,993	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	285	97
სულ	**9,050**	**97**

17. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები - 2021 წლის 31 აგვისტოს მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია მის წინააღმდეგ სასამართლო დავები და არც ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის არსებობს ასეთი. შესაბამისად არ არის მოლოდინი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნის და სასამართლო დავებთან დაკავშირებით არც ანარიცხია წარდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში

საგადასახადო კანონმდებლობა - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შესაძლოა გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიის მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მისი საგადასახადო მიდგომა არის კანონმდებლობის შესაბამისი. შესაბამისად, პოტენციურ საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებით ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები და ნაშთები მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით განსაზღვრულ დაკავშირებულ მხარეებთან მიმდინარე და შესადარისი პერიოდებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020-2021	2019-2020
დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება	54,287	61,782

	31.08.2021	31.08.2020
დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გასაცემი ანაზღაურების ნაშთი პერიოდის ბოლოს	5,064	2,500

19. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღიდან ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე დამფუძნებლებზე ჯამურად გაცემულია დივიდენდი 342,105 ლარის ოდენობით.

ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენას, რომელთა განმარტებით შენიშვნებში გაჟღერებას მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტი მოითხოვს.

20. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს სკოლა ევრო-2000-ის დირექტორებმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცეს და მისი გამოცემის ნებართვა გასცეს 2022 წლის 30 მაისს.

საქმიანობის მიმოხილვა

ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

შპს სკოლა ევრო-2000 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა. იგი დაარსდა 2001 წელს, მისი საინდენტიფიკაციო ნომერია: 245437843.

მისი დამფუძნებლები არიან:

- მარინა ცივაძე - 50%;
- ანზორ აბუსერიძე - 50%

აღმასრულებელი ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა აკისრია დირექტორებს - მარინა ცივაძეს და ანზორ აბუსერიძეს.

სკოლის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ. #89;

ელფოსტა: euro2000b@gmail.com;

ვებ-გვერდი: www.euro-2000@edu.ge

სკოლის, როგორც ,,მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის" შესაბამისად შექმნილი კერძო სამართლის სუბიექტის, მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა კრება. ამასთან, სკოლა წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას. მას გააჩნია შესაბამისი საგანმანათლებლო ლიცენზია, რომელიც გასცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭომ. ადგილების ზღვრული რაოდენობა გათვლილია 1050 მოსწავლეზე.

შპს სკოლა ევრო 2000-მა 1999 წლიდან დღემდე არსებობის მანძილზე შექმნა მოსწავლეთათვის სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტების მქონე განათლების მისაღებად. დაამკვიდრა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, შესძინა მათ თვითრეალიზაციისათვის საჭირო ცოდნა და ცნობიერება.

სათანადო მატერიალურმა ბაზამ და ეფექტურმა სასწავლო გარემომ უზრუნველყო მოსწავლეთათვის ხარისხიანი განათლების მიღება. სკოლა ევრო 2000-მა მიიღო ახალი გამოწვევები, შექმნა თანამედროვე სტანდარტების კონკურენტუნარიანი სკოლა და ორიენტაცია აიღო გრძელვადიან მიზნებზე, როგორიცაა მატერიალური ბაზის გაუმჯობესება, კერძოდ სკოლის დამატებითი ფართის მშენებლობა, ასევე თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო პროცესის ორგანიზება.

მიზნები და ამოცანები

ორგანიზაციის მიზანია შეუქმნას მოსწავლეს სათანადო პირობები საერთაშორისო სტანდარტების მქონე განათლების მისაღებად.

მისია

სკოლა ევრო 2000-ის მისიაა აღზარდოს თავისუფალი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი პიროვნება, რომელსაც ექნება განვითარებული გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო ცნობიერება და პასუხისმგებლობა ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. საერთაშორისო კავშირების დამყარება-ამოქმედება, გაცვლითი სასწავლო პროგრამებში მონაწილეობა, მოსწავლეების მომზადება საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრაციისათვის.

წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები

1. სკოლაში ჯანსაღი სასწავლო - სამუშაო პირობებისა და უსაფრთხო გარემოს დამკვიდრება და უზრუნველყოფა;

2. ურთიერთპატივისცემისა და თანასწორობის საფუძველზე სკოლის მართვის დემოკრატიული სისტემის არსებობა;

3. სკოლის გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ობიექტურობა;

4. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სამართლიანობის პრინციპების დაცვით სასკოლო საქმიანობის წარმართვა;

5. მოსწავლეთა ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშემწყობი გარემოს ფორმირება, პრევენციული ღონისძიებების გატარება;

6. პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრაციისთვის;

7. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისტემატიური გაუმჯობესება, სკოლისთვის დამატებითი ფართის მშენებლობა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი სპორტული მოედნის მოწყობა, კაბინეტების აღჭურვა სათანადო ინვენტარით, ბიბლიოთეკის უზრუნველყოფა კომპიუტერებით და სამკითხველო დარბაზის გაფართოება, ახალი საკონფერენციო დარბაზის მოწყობა, ევრო სტანდარტებით აღჭურვილი სასადილოს მოწყობა, სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიებით აღჭურვა;

8. მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული სასწავლო გარემოს არსებობა;

9. სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლებისა და ეფექტური სასწავლო გარემოს არებობა;

10. ინკლუზიური განათლების განხორციელებისათვის ადაპტირებული გარემოს ფორმირება სკოლაში.

11. მოსწავლეთა და მასწავლებელთა მასტიმულირებელი ბერკეტებისა და წამახალისებელი ფორმების ეფექტურად გამოყენება;

12. მასწავლებელთა სახელფასო ზრდა;

13. მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და ხელშეწყობა;

14. ეფექტური მენეჯმენტის განხორციელება.

რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სკოლის მისიის უზრუნველყოფისათვის მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მატერიალური რესურსი. სკოლას საკუთრებაში აქვს შენობა, რომელიც გამოიყენება მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზებისათვის და შეესაბამება მოქმედ სტანდარტებს. მოსწავლეებისათვის განსაკუთრებულ კომფორტს ქმნის ახალი კორპუსი, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო და ტექნოლოგიური რესურსებით და კვების ბლოკით. სკოლას საკუთრებაში აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც ივსება მოსწავლეთა მოთხოვნის შესაბამისად, ადაპტირებული გარემო შშმ მოსწავლეებისთვის.

ყოველივე ზემოთ ხსენებული უზრუნველყოფს, როგორც მოსწავლეებისთვის ასევე თანამშრომლებისთვის კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნას.

საერთაშორისო ინტეგრაცია

მისიიდან გამომდინარე სკოლა 2003 წლიდან გახდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს, გოეთეს ინსტიტუტთან, უცხოეთში მოქმედ გერმანულ სახელმწიფო საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან DAAD-ის, ZFA-სა და PAD-ის ინიციატივის ,,სკოლები - მომავლის პარტნიორები" (Schulen: Partner der Zukunft) წევრი, რომლის მიზანია, უცხოეთში გერმანიის, გერმანული კულტურისა და ენის მიმართ ინტერესის გაღვივება, ახალგაზრდების გერმანული ენის სწავლებისადმი მოტივირება, პედაგოგთა კვალიფიცირება და პარტნიორი სკოლების მხარდაჭერა, მათი კონტაქტების უზრუნველყოფა. სწორედ ამავე მიზნებითა და ქართველ მოზარდებში ევროპული განათლებისადმი მისწრაფებისა და ხელშეწყობის მიზნით გახდა სკოლა ევრო-2000 ამ ინიციატივის წევრი და აქტიურად არის ჩართული აქტივობებში.

2009 წლიდან ევრო-2000-ს პარტნიორობა აქვს გერმანიის ქალაქ ელმსჰორნის ბისმარკის სახელობის გიმნაზიასთან. პარტნიორობის მთავარი მიზანი გაცვლითი პროგრამების განხორციელებაა წელიწადში ერთჯერ. პროგრამის ფარგლებში ხდება მოსწავლეთა ჯგუფების სტუმრობა პარტნიორ სკოლებში. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გაეცნონ გერმანულ სკოლის სისტემას, გერმანულ ყოფას და წეს-ჩვეულებებს, გაიუმჯობესონ ენის ცოდნა, შეიძინონ ახალი მეგობრები. გერმანელი და ქართველი მოსწავლეები ერთობლივად მონაწილეობენ სხვადასხვა კულტურულ, შემოქნედებით და სასწავლო ღონისძიებებში, მასტერკლასებსა და ექსკურსიებში. (პანდემიის პერიოდში იყო დროებით შეჩერებული)
2011 წლის სექტემბრიდან სკოლა ოფიციალურად ფუნქციონირებს როგორც გერმანული ენის მეორე საფეხურის დიპლომის სკოლა (DSD II B2 – C1), ხოლო 2013 წელს სკოლას მიენიჭა გერმანული ენის პირველი საფეხურის დიპლომის პროგრამის განხორციელებისა და გამოცდების ჩატარების უფლება. დიპლომისთვის მოსწავლეთა მომზადება და გამოცდები დღემდე წარმატებით მიმდინარეობს. სკოლაში გერმანული ენის მეორე საფეხურის B2 – C1 დიპლომი დღემდე 156-მა მოსწავლემ მოიპოვა, ხოლო პირველი საფეხურის B1 დიპლომის მფლობელი უკვე 319 მოსწავლეა. სკოლის ხუთმა კურსდამთავრებულმა მოიპოვა გერმანიის აკადემიური გაცვლითი სამსახურის (DAAD) საბაკალავრო სტიპენდია და ამჟამად სრული დაფინანსებით სწავლობენ გერმანიის უნივერსიტეტებში მიუნხენში, კარლსრუეში, მარბურგსა და მანჰაიმში. გერმანული ენის დიპლომის მქონე 54-ზე მეტი კურსდამთავრებული წარმატებით სწავლობს ბერლინში, ჰამბურგში, ლაიფციგში, მარბურგში, დარმშტადტში, ჰალეში და სხვა ქალაქებში.

მართვა და კომუნიკაცია

მართვის და ორგანიზაციული განვითარების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების დელეგირება, ასევე ეფექტური კომუნიკაციის ჩამოყალიბება ორგანიზაციის მმართველ რგოლებსა და თანამშრომლებს შორის. ორგანიზაციის ფუნქციონირების პერიოდში ფაქტობრივად ჩამოყალიბდა კომუნიკაციის, დელეგირების გუნდის შექმნის, გადაწყვეტილების მიღების მმართველობითი სისტემა, რაც დაფუძნებულია შემდეგ პრინციპებზე:

- ყოველი პოზიციისთვის თანამდებობრივი ინსტრუქციის არსებობა;
- სათანადო დელეგირება შესაბამისი უფლებამოსილებით;
- ორგანიზაციის ყველა თანამშრომლებს შორის მუდმივი ინტერაქცია;

- კარგი შიდაორგანიზაციული კომუნიკაციური სისტემა უკუკავშირის მექანიზმებით;
- რეგულარული, მიზანმიმართული და კარგად ორგანიზებული შეხვედრები თანამშრომლებთან;
- თანამშრომლებისთვის ერთმანეთის როლების და ფუნქციების გაცნობა.

სტრატეგიული განვითარება

სკოლის სტრატეგიული განვითარება ხორციელდება წინასწარ შემუშავებული 6 წლიანი სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, რომელიც ადგენს სკოლის სტრუქტურული ერთეულების სტრატეგიის განსაზღვრის ზოგად წესს - პროცედურას, აყალიბებს მისი პრაქტიკულად განხორციელების მექანიზმს. მასზე დაყრდნობით ორგანიზაცია ადგენს, ყოველი განსაზღვრული პერიოდისათვის, სტრატეგიულ დაგეგმვას, შეიმუშავებსყოველწლიურ სამუშაო გეგმას - 1 წლიან სამოქმედო გეგმას. სტრატეგიული გეგმა არის მართვის სისტემა, რომელიც მოწოდებულია განავითაროს სკოლა ფაქტობრივი მდგომარეობიდან სასურველ შედეგამდე. სტრატეგიულ გეგმის პრაქტიკული განხორციელების მექანიზმს ქმნის მოკლევადიანი და ყოველწლიური სამოქმედო გეგმა. ყოველწლიურად, სტრატეგიული გეგმის შესრულების შესახებ, ორგანიზაცია აწარმოებს მონიტორინგს და აკეთებს შეფასებას.

რისკები და მათი მართვის სტრატეგია

სტრატეგიული გეგმის და საქმიანობის წარმატებულად განხორციელებისას ყოველთვის არსებობს შიდა და გარე რისკები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია.

მოთხოვნა კომპანიის მომსახურებაზე, ისევე როგორც კომპანიის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება უარყოფით გავლენას მოახდენს მოსახლეობაზე და მის უნარზე გადაიხადონ მიღებული მომსახურების საფასური.

სკოლის საქმიანობისას არსებულ რისკებს წარმოადგენს

- კონკურენცია;
- რესურსების განვითარების შეფერხება;
- ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები;
- კვალიფიციური ადამიანური რესურსების გადინება.
- ფორსმაჟორული სიტუაციები.

აღნიშნული რისკების მართვისას სკოლა იყენებს შემდეგ სტრატეგიას:

კონკურენციის რისკის მართვისას სკოლა აქცენტს აკეთებს საერთაშორისო კავშირების დამყარება-ამოქმედებაზე, გაცვლით სასწავლო პროგრამებში მონაწილეობაზე;

რესურსების განვითარების შეფერხების რისკის მართვას სკოლა ახორციელებს კარგად გააზრებული კაპიტალური განვითარების დაგეგმარების მეშვეობით, რომელიც ყოველწლიურად ხორციელდება და ნაწილობრივ გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების გეგმით;

ხშირი საკანონმდებლო ცვლილებების რისკის მართვას სკოლა უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების გამოყენებით საქმიანობის საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევის მეშვეობით;

კვალიფიციური ადამიანური რესურსების გადინების რისკის მართვა ხორციელდება მოტივაციის სქემების დანერგვის მეშვეობით და მუდმივი სახელფასო სარგოს ზრდით.

ამდენად სკოლას მისი საქმიანობისას არსებული რისკების მართვის შესაძლებლობა გააჩნია.

ასევე მნიშვნელოვანი საქმიანობის რისკი, რომელიც ახასიათებს სკოლის ოპერაციებს, არის უცხოური ვალუტის გადაფასებასთან დაკავშირებული რისკები - სკოლას აქვს საბანკო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში - მიუხედავად ამისა, რისკის დასაზღვევად, სკოლა მაინც არ ახდენს სკოლის საფასურის უცხოურ ვალუტაში დენომინირებას, გამომდინარე მომხმარებლების ინტერესებიდან.

Covid 19 პანდემიის პირობებში სკოლამ უზრუნველყო შესაბამისი უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემო თანამშრომლებისა და მოსწავლეებისათვის. კოვიდ-პანდემიის პირობებში სკოლამ სწრაფად მოახდინა ადაპტირება და გადავიდა ონლაინ სწავლებაზე საქართველოს რეგულაციების შესაბამისად.

განათლების გაზრის შესახებ

ზოგადი განათლების სექტორის შემოსავლები 343 მლნ ლარიდან 939 მლნ ლარამდე გაიზარდა 2009-19 წლებში, გალტ ენდ თაგარტის შეფასებით. აქედან, საჯარო სკოლებმა 2019 წელს მთლიანი შემოსავლის 75.7% მიიღო. აღსანიშნავია, რომ კერძო სექტორის წილი მზარდია (+8.6 პროცენტული პუნქტი 2009-19 პერიოდში) და 24.3%-ს აღწევს. საჯარო სკოლები სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ხოლო კერძო სკოლების შემოსავლები გენერირდება როგორც შინამეურნეობების ჯიბიდან გადახდებით, ისე მთავრობის დაფინანსებით. ამჟამად, ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში 2,313 სკოლა საქმიანობს, აქედან 2,086 საჯარო და 227 კერძო დაწესებულება. აღსანიშნავია, რომ 149 სკოლა გამოაკლდა სკოლების საერთო რაოდენობას 2009-19 წლებში. აღნიშნული გამოიწვია საჯარო სკოლების ოპტიმიზაციამ (ძირითადად სოფლად) და კერძო სკოლებისთვის ავტორიზაციის მოთხოვნის შემოღებამ, რაც ზოგიერთი კერძო სკოლის დახურვის მიზეზი გახდა. საქართველოში საჯარო სექტორი კვლავ რჩება ზოგადი განათლების მთავარ მიმწოდებლად, თუმცა კერძო სკოლებში მოსწავლეების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. კერძო სკოლების პოპულარობის მთავარი მიზეზი მომხმარებლის აღქმით მათ მიერ შეთავაზებული განათლების უფრო მაღალი ხარისხია. საქართველოში მოსწავლეების 10.6% სწავლობდა კერძო სკოლებში 2019/20 სასწავლო წლის მდგომარეობით, როცა იგივე მაჩვენებელი 2009/10 წელს იყო 7.6%. ზოგად განათლების სექტორში კერძო სექტორის წილით საქართველო მნიშვნელოვნად უსწრებს შესადარის ქვეყნებს რეგიონში.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

გასული პერიოდების განმავლობაში სკოლას ჰყავდა შემდეგი რაოდენობის მოსწავლეები:

შემოსავლებისა და წმინდა მოგების დინამიკა კი გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

	2020-2021	2019-2020	2018-2019
შემოსავალი სწავლის ღირებულებიდან	2,695,133	2,577,528	2,216,160
შემოსავალი დამატებითი საქმიანობიდან (იჯარა)	259,612	279,138	282,292
წმინდა მოგება	860,060	548,206	897,728

შემოსავლების მზარდი დინამიკა უკავშირდება როგორც მოსწავლეების, აგრეთვე სწავლის საშუალო ღირებულების ზრდას წლიდან წლამდე.

SWOT ანალიზი

Scrength - ძლიერი მხარე

• 20 წლის განმავლობაში უწყვეტად საგანმანათლებლო ბაზარზე სტაბილური ოპერირება

• გამოცდილი, კომპანიასთან ერთად გაზრდილი კადრები

• ფინანსური სტაბილურობა

• მოტივირებული და შედეგზე ორიენტირებული მენეჯმენტი

Weaknesses – სუსტი მხარე

• არასაკმარისი ადამიანური რესურსი

• ტრენინგების, სემინარების, სწორი უნარჩვევების შეძენის დაბალი სიხშირე

Opportuniries - შესაძლებლობები

• სტანდარტის შესაბამისი მატერიალური ბაზა , მატერიალური ბაზის მუდმივად განახლება.

• მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული ორიენტირებული სწავლება .

• პარტნიორული კავშირები

• მაღალი ცნობადობა და მოთხოვნა

Threats – საფრთხეები

• საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული კონკურენცია

• სახელმწიფოს მიერ მასწავლებლებზე ხელფასების ზრდასთან დაკავშირებით, არსებული ადამიანური რესურსის გადინება საჯარო სექტორებში.

შპს ,,სკოლა ევრო-2000“

30.05.2022 წელი

_____

მარინა ცივაძე

_____

ანზორ აბუსერიძე

SWOT ანალიზი

Scrength - ძლიერი მხარე

- 20 წლის განმავლობაში უწყვეტად საგანმანათლებლო ბაზარზე სტაბილური ოპერირება
- გამოცდილი, კომპანიასთან ერთად გაზრდილი კადრები
- ფინანსური სტაბილურობა
- მოტივირებული და შედეგზე ორიენტირებული მენეჯმენტი

Weaknesses – სუსტი მხარე

- არასაკმარისი ადამიანური რესურსი
- ტრენინგების, სემინარების, სწორი უნარჩვევების შეძენის დაბალი სიხშირე

Opportuniries - შესაძლებლობები

- სტანდარტის შესაბამისი მატერიალური ბაზა , მატერიალური ბაზის მუდმივად განახლება.
- მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული ორიენტირებული სწავლება .
- პარტნიორული კავშირები
- მაღალი ცნობადობა და მოთხოვნა

Threats – საფრთხეები

- საგანმანათლებლო ბაზარზე არსებული კონკურენცია
- სახელმწიფოს მიერ მასწავლებლებზე ხელფასების ზრდასთან დაკავშირებით, არსებული ადამიანური რესურსის გადინება საჯარო სექტორებში.

შპს ,,სკოლა ევრო-2000"

30.05.2022 წელი

_____

მარინა ცივაძე

_____

ანზორ აბუსერიძე

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართ. 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო

30 მაისი, 2022 წელი

Audit | Accounting | Tax | Valuation | Business Advisory Services | Legal Services
Kavtaradze str, lane 1 | N 10. Floor 3 | Office 4 | Tbilisi 0186 | Georgia
info@kreston.ge www.kreston.ge +995 322 48 37 39

knowing you.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.08.2021	31.08.2020
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	14,440,420	14,442,537
საინვესტიციო ქონება	5	505,783	509,991
არამატერიალური აქტივები	6	190	1,300
სულ გრძელვადიანი აქტივები		**14,946,393**	**14,953,828**
სასაქონლო მატერიალური მარაგები	7	174	18,488
ავანსები და წინასწარ გაწეული ხარჯები	8	8,789	14,312
საგადასახადო აქტივი	9	104,527	35,659
დებიტორული დავალიანება	10	230,023	385,882
ფული და ფულის ექვივალენტები	11	467,327	634,897
სულ მიმდინარე აქტივები		**810,840**	**1,089,238**
სულ აქტივები		**15,757,233**	**16,043,066**
კაპიტალი და ვალდებულებები			
გადაფასების რეზერვი		11,953,769	11,966,669
აკუმულირებული მოგება		2,633,947	2,642,309
სულ კაპიტალი		**14,587,716**	**14,608,978**
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	226,251	160,343
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	13	373,611	345,815
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**599,862**	**506,158**
გრძელვადიანი სესხები	13	569,655	927,930
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**569,655**	**927,930**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**15,757,233**	**16,043,066**

დირექტორები:

მარინა ცივაძე _____

ანზორ აბუსერიძე _____

მთავარი ბუღალტერი:

ია მექვაბიშვილი _____

სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	01.09.2020-31.08.2021	01.09.2019-31.08.2020
ამონაგები	14	2,909,895	2,856,666
პერსონალის ხარჯები		(1,419,129)	(1,423,266)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	4	(87,674)	(69,953)
სხვა საერთო ხარჯები	15	(337,212)	(617,507)
საოპერაციო მოგება		**1,065,880**	**745,940**
საპროცენტო ხარჯი		(58,629)	(73,315)
საპროცენტო შემოსავალი		19,635	13,736
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)		(51,074)	(138,252)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	16	9,050	97
მოგება დაბეგვრამდე		**984,862**	**548,206**
მოგების გადასახადი		(124,802)	-
წმინდა მოგება		**860,060**	**548,206**
სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი)		(12,900)	(12,900)
სულ სრული შემოსავალი		**847,160**	**535,306**

დირექტორები:

მარინა ცივაძე

ანზორ აბესერიძე

მთავარი ბუღალტერი:

ია მექვაბიშვილი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	დაგროვილი მოგება	ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 აგვისტო 2019	**2,338,314**	**11,979,569**	**14,317,883**
წლის სრული შემოსავალი	548,206	(12,900)*	535,306
დივიდენდის გაცემა	(244,211)		(244,211)
ნაშთი 31 აგვისტო 2020	**2,642,309**	**11,966,669**	**14,608,978**
წლის სრული შემოსავალი	860,060	(12,900)*	847,160
დივიდენდის გაცემა	(868,422)		(868,422)
ნაშთი 31 აგვისტო 2021	**2,633,947**	**11,953,769**	**14,587,716**

- *საღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, კომპანია შეფასებული შენობის ცვეთის გადაფასების რეზერვის პროპორციულ წილს ყოველწლიურად აკლებს გადაფასების რეზერვს.*

დირექტორები:

მარინა ცივაძე

ანზორ აბუსერიძე

მთავარი ბუღალტერი:

ია მექვაბიშვილი

შპს სკოლა ევრო-2000

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2021 წლის 31 აგვისტოს დასრულებული წლისათვის
(თეორები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	01.09.2020-31.08.2021	01.09.2019-31.08.2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	860,060	548,206
მოგება დაბეგვრამდე		
კორექტირებები:	87,674	69,953
ცვეთა და ამორტიზაცია	80,838	93,888
მოთხოვნების გაუფასურება	(28,154)	(13,736)
ფინანსური შემოსავლები	58,629	73,315
ფინანსური ხარჯები	51,074	138,252
წმინდა (მოგება)/ზარალი საკურსო სხვაობიდან	**1,110,120**	**909,878**
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სანრეწავ კაპიტალში ცვლილებამდე		
მარაგების (ზრდა)/შემცირება	18,314	77,116
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	80,435	(138,743)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	74,418	(33,075)
სავადასახადო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(68,868)	307,523
მიღებული პროცენტი	19,635	13,736
გადახდილი პროცენტები	(59,123)	(70,926)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	**1,174,932**	**1,065,509**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(93,139)	(484,751)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(93,139)**	**(484,751)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდი	(868,422)	(244,211)
სესხის აღება	-	1,325,988
სესხის გადახდა	(370,791)	(1,497,345)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	**(1,239,213)**	**(415,568)**
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)	**(157,420)**	**165,190**
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	634,897	510,712
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(10,150)	(41,005)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	**467,327**	**634,897**

დირექტორები

მარინა ცივაძე

ანზორ აბუსერიძე

მთავარი ბუღალტერი:

ია მექვაბიშვილი